

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“
204987862

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9
დასკვნის ბოლო გვერდი	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“-ს ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში მოყვანილი გარემოებებისა, სამართლიანად ასახავს შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 20 მაისს და ამდენად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ, ჩვენ ვერ შევძელით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული მეთოდებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი ფინანსური შედეგების და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი ელემენტია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

ჩვენ ვერ ვადასტურებთ საიჯარო ვალდებულებების დარიცხვის სისწორეს, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებების აღრიცხვა არ წარმოებს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად და იძლევა ინტერპრეტირების დიდ შესაძლებლობას.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის

პროცედურებს და მოვპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427).

19 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427).

19 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს დიპლომატ ჰოლდინგის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შესაბამეობა მის ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 19 დეკემბერი.

დირექტორი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს დიპლომატ ჰოლდინგის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შესაბამეა მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 19 დეკემბერი.

დირექტორი:




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	მენ.	31-დეკ-2021	01-იან-2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,760,597	1,531,936
საინვესტიციო ქონება	5	613,838	613,838
არამატერიალური აქტივები	6	69,774	61,760
იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება	5	863,603	863,603
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,307,811	3,071,137
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	7,384,740	4,790,589
მარაგები	8	3,518,746	2,093,271
წინასწარ გაწეული ხარჯი		36,250	66,261
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	79,809	51,949
სულ მიმდინარე აქტივები		11,019,545	7,002,070
სულ აქტივები		14,327,356	10,073,207
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10	154,978	222,977
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	10	3,005,338	-
სულ კაპიტალი		3,162,316	224,977
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		781,004	781,004
გრძელვადიანი სესხები	11	287,550	1,697,629
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,068,554	2,478,633
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები		239,243	239,243
მოკლევადიანი სესხები	11	5,407,594	5,024,516
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	4,449,649	2,105,838
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,096,486	7,369,597
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,327,356	10,073,207

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

19 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2021	01-იან-2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,760,597	1,531,936
საინვესტიციო ქონება	5	613,838	613,838
არამატერიალური აქტივები	6	69,774	61,760
იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება	5	863,603	863,603
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,307,811	3,071,137
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	7,384,740	4,790,589
მარაგები	8	3,518,746	2,093,271
წინასწარ გაწეული ხარჯი		36,250	66,261
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	9	79,809	51,949
სულ მიმდინარე აქტივები		11,019,545	7,002,070
სულ აქტივები		14,327,356	10,073,207
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10	154,978	222,977
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	10	3,005,338	-
სულ კაპიტალი		3,162,316	224,977
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		781,004	781,004
გრძელვადიანი სესხები	11	287,550	1,697,629
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,068,554	2,478,633
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები		239,243	239,243
მოკლევადიანი სესხები	11	5,407,594	5,024,516
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	4,449,649	2,105,838
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,096,486	7,369,597
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,327,356	10,073,207

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



19 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვრდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვრდებზე 1-3.



სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	13	40,791,025	29,707,153
თვითღირებულება	14	(27,622,649)	(21,333,677)
საერთო მოგება		13,168,377	8,373,476
საოპერაციო ხარჯები			
მარკეტინგის ხარჯი	15	(6,016,136)	(3,820,348)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(4,376,114)	(1,979,481)
დისტრიბუციის ხარჯი	17	(2,231,327)	(3,611,416)
მიწოდების დანახარჯები		(323,044)	-
საოპერაციო ზარალი		221,756	(1,037,768)
არასაოპერაციო შემოსავალი	18	2,631,238	1,065,035
მოგება/ზარალი გადაფასებიდან		499,425	(1,360,574)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		134,832	-
ფინანსური ხარჯი		(467,467)	(486,423)
არასაოპერაციო ხარჯი		(14,445)	-
მოგება ზარალი დაბეგრამდე		3,005,338	(1,819,730)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		3,005,338	(1,819,730)
სხვა სრული შემოსავალი ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		3,005,338	(1,819,730)

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

19 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	13	40,791,025	29,707,153
თვითღირებულება	14	(27,622,649)	(21,333,677)
საერთო მოგება		13,168,377	8,373,476
საოპერაციო ხარჯები			
მარკეტინგის ხარჯი	15	(6,016,136)	(3,820,348)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(4,376,114)	(1,979,481)
დისტრიბუციის ხარჯი	17	(2,231,327)	(3,611,416)
მიწოდების დანახარჯები		(323,044)	-
საოპერაციო ზარალი		221,756	(1,037,768)
არასაოპერაციო შემოსავალი	18	2,631,238	1,065,035
მოგება/ზარალი გადაფასებიდან		499,425	(1,360,574)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		134,832	-
ფინანსური ხარჯი		(467,467)	(486,423)
არასაოპერაციო ხარჯი		(14,445)	-
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		3,005,338	(1,819,730)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		3,005,338	(1,819,730)
სხვა სრული შემოსავალი ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		3,005,338	(1,819,730)

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

19 დეკემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ
2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	2,000	222,977	224,977
ცვლილება	-	(68,000)	(68,000)
პერიოდის შედეგი	-	3,005,338	3,005,338
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	3,160,316	3,162,316

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

19 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ
2021 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	2,000	222,977	224,977
ცვლილება	-	(68,000)	(68,000)
პერიოდის შედეგი	-	3,005,338	3,005,338
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	3,160,316	3,162,316

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



19 დეკემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	3,005,338	(1,819,730)
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	274,396	562,024
	3,279,734	(1,257,706)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(1,425,474)	126,518
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(2,594,151)	57,080
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გაწეული ხარჯი	30,011	14,896
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,343,811	(927,205)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	-	18,392
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1,633,931	(1,968,025)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(493,125)	(314,797)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(17,945)	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(511,070)	(314,797)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) სასესხო ვალდებულებებში	(1,027,000)	2,178,611
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) ზრდა (შემცირება)	(68,000)	
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(1,095,000)	2,178,611
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	27,861	(104,211)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	51,949	156,161
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	79,809	51,950

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

19 დეკემბერი 2022 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	3,005,338	(1,819,730)
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	274,396	562,024
	3,279,734	(1,257,706)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(1,425,474)	126,518
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(2,594,151)	57,080
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გაწეული ხარჯი	30,011	14,896
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	2,343,811	(927,205)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	-	18,392
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1,633,931	(1,968,025)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(493,125)	(314,797)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(17,945)	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(511,070)	(314,797)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ზრდა/(შემცირება) სასესხო ვალდებულებებში	(1,027,000)	2,178,611
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) ზრდა (შემცირება)	(68,000)	
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(1,095,000)	2,178,611
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	27,861	(104,211)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	51,949	156,161
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	79,809	51,950

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

19 დეკემბერი 2022 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით 204987862 დარეგისტრირდა საქართველოში 2002 წლის 11 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართია გლდანის რაიონი, კაჭარავას ქ. N58, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის, სწრაფი მომზადების პროდუქციის, რძის ნაწარმის და საღებავი რეზინის იმპორტი და დისტრიბუცია.

კომპანია საქმიანობას აწარმოებს საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ რეგიონებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულია რიცხვი შეადგენდა 276 (2020: 261) თანამშრომელს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ჯონი ქოჩიაშვილი	25 %	25 %
გიორგი ჟღენტი	25 %	25 %
დიმიტრი შენგელია	25 %	25 %
მერაბ ჩიჩუა	25 %	25 %

კომპანიის დირექტორია, მიხეილ ლევიძე პ/ნ 21001000717

2. საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს სტანდარტები”) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ საადრიცხო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

რეალური ღირებულება. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში. როდესაც ხდება რეალური ღირებულების შეფასება, კომპანია იყენებს საჯაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს.

მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

რეალური ღირებულების დადგენისას, გამოყენებული მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობის მიხედვით იყოფა იერარქიის 3 დონედ:

- დონე 1 - რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის მოქმედ ბაზრებზე კოტირებული ფასები.
- დონე 2 - რეალური ღირებულება ფასდება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება საჯაროდ, პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით).
- დონე 3 – რეალური ღირებულება ფასდება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. კომპანიის სამუშაო ვალუტა და ამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

შემოსავალი. შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება FIFO მეთოდი.

სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. სასაქონლო მატერიალური მარაგები მოიცავს საკონდიტრო პროდუქციას, რძის ნაწარმს, სწრაფი მომზადების პროდუქტებს და საღებავ რეზინს, ასევე თაროებს რომლებიც გამოიყენება სპეციალური დანიშნულების მიზნებისთვის.

ძირითადი საშუალებები. თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

- | | |
|----------------------------|-------------|
| • მანქანა-დანადგარები | 5 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5-8 წელი; |
| • შენობა - ნაგებობები | 10-20 წელი; |

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. საწყისი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად.

- შენობა - ნაგებობები 20 წელი;

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შეძენილი არამატერიალური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურეობის ვადის მანძილზე.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

- პროგრამული უზრუნველყოფა 10 წელი;

იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; ითვალისწინებს საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე; და მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და სხვა აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოსატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალუტა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233
100 RUB/GEL	4.1479	4.4031

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

დივიდენდები. დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირცხვლია ყველა სავალ ინსტრუმენტთან დაკავშირებით დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი, გადაავადებს კონტრაქტთან დაკავშირებულ ყველა გადახდილ ან მიღებულ მოსაკრებელს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

გაქვითვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთიარსება ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

ანარიცხები. ანარიცხი არის გაურკვეველი ვადისა ან თანხის არაფინანსური ვალდებულება. მისი დაგროვება ხდება, როცა კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში არსებული მოვლენების გამო და აშკარაა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა ეკონომიკური სარგებლების მომცველი რესურსების გაღება, და შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის საიმედო შეფასების გაკეთება.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირცხვლია სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციული დანახარჯის გათვალისწინებით.

ბიზნესმოდელი. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. ბიზნესმოდელის შეფასების დროს კომპანია აფასებს პერიოდის განმავლობაში გაყიდული სავალ ფინანსური ინსტრუმენტების არსებითობას პორტფელის ღირებულებასთან მიმართებაში იმ პირობით, რომ გაყიდვა არ ხდება კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმიზირებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ მოუხდენია სავალ ფინანსური აქტივების გაყიდვა, მისი ბიზნესმოდელი და შესაბამისად მისი სავალ ფინანსური აქტივები აკმაყოფილებენ „ამოღებისთვის ფლობილობის“ კრიტერიუმს.

ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, კომპანია აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით („SPPI“). შეფასებისას კომპანია განიხილავს შესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ე.ი. პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების კოეფიციენტის ასპექტს. თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება- ზარალში (FVTPL), კომპანიას არ ჰქონია ასეთი კატეგორიის ფინანსური აქტივები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა.

შეფასების კატეგორიები. სავალ ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნესმოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვასა და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის სავალ ფინანსური აქტივები აკმაყოფილებენ ორივე კრიტერიუმს, კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შესაბამის კატეგორიაში და ახორციელებს მის შემდგომ შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ამორტიზირებული ღირებულება. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანარიცხი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) წილობრივ/პროცენტულ გამოხატულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების), ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის დროსაც ფასდება მთლიანი მოსალოდნელი ზარალი აქტივისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება საკრედიტო რისკების მახასიათებლებისა და გადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება. ფინანსური ვალდებულებები შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

აღიარების შეწყვეტა. ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მიღებული სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხები აღირიცხება პერიოდის განმავლობაში გაწერული ხარჯის მიხედვით და მიეკუთვნება იმ პერიოდს როდესაც მოხდა ხარჯის გაწევა.

3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი ადარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 16, ლიზინგი (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოდგენილი აქტივი დაბალ ღირებულებიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება- შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინანსური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

ფასიკ 22 “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება” (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციისთარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასიკ 23 “გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგრის შესახებ” (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზე უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად

და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდეს აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთე ბი	შენობა- ნაგებობ ები	მანქანა- დანადგ არები	ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლება	საინვესტ იციო ქონება	სულ
ბალანსი 01.01.2021	200,910	1,276,622	116,062	266,320	638,189	148,090	-	1,268,446	751,820	4,666,459
შეძენა	-	154,378	10,236	38,260	263,256	27,108	29,744	-	-	522,981
გასვლა	-	-	-	-	(29,856)	-	-	-	-	(29,856)
ბალანსი 31.12.2021	200,910	1,431,000	126,297	304,580	871,589	175,198	29,744	1,268,446	751,820	5,159,584
აკუმულირებული ამორტიზაცია 01.01.2021	-	(473,556)	(96,361)	(146,971)	(336,211)	(61,158)	-	(404,843)	(137,982)	(1,657,082)
ამორტიზაციის ხარჯი	-	(118,854)	(12,293)	(42,899)	(84,246)	(28,731)	(1,485)	-	-	(288,508)
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-	-	-	-	24,044	-	-	-	-	24,044
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2021	-	(592,410)	(108,654)	(189,871)	(396,412)	(89,889)	(1,485)	(404,843)	(137,982)	(1,921,546)
ნარჩენი ღირებულება 01.01.2021	200,910	803,066	19,700	119,349	301,978	86,932	-	863,603	613,838	3,009,379
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	200,910	838,590	17,643	114,710	475,176	85,309	28,259	863,603	613,838	3,238,038

გარემოებები, რომელიც მიანიშნებდა საწარმოს ძირითადი საშუალებების გაუფასურებას, არ არსებობს. ასევე არ არსებობს ისეთი გარემოებები რომელიც მიანიშნებდა ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების ან მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას.

6. არამატერიალური აქტივები

კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები	
ბალანსი 01.01.2021	119,048
შეძენა	17,945
გასვლა	-
ბალანსი 31.12.2021	136,993
აკუმულირებული ამორტიზაცია 01.01.2021	(57,287)
ამორტიზაციის ხარჯი	(9,932)
ამორტიზაცია გასულ აქტივზე	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2021	(67,219)
ნარჩენი ღირებულება 01.01.2021	61,760
ნარჩენი ღირებულება 31.12.2021	69,774

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31-დეკ-2021	01-იან-2021
სავაჭრო მოთხოვნები	8,270,847	5,145,613
სხვა მოთხოვნები	127,975	264,381
გაუფასურების ანარიცხები	(1,014,082)	(619,404)
ჯამი	7,384,740	4,790,589

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური ღირებულებისგან ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს სხვადასხვა საცალო სარეალიზაციო ქსელზე (იურიდიული პირები) და სხვა სარეალიზაციო ობიექტებზე, მიწიდებული საქონლის დავალიანებებს.

სხვა მოთხოვნები ძირითადად მოიცავს სასაწყობო ფართის გაქირავების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებს.

8. მარაგები

მარაგები	31-დეკ-2021	01-იან-2021
საკონდიტრო ნაწარმი	900360	795,728
რძის ნაწარმი	932298	839,009
სწრაფი მომზადების პროდუქტები	1360158	220,252
საღებო რეზინი	257014	200,684
სოუსები	7595	21,614
ხორცპროდუქტები	61321	15,985
ჯამი	3,518,746	2,093,272

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანიის პოლიტიკიდან გამომდინარე მუდმივად ხდება მარაგების საბალანსო ღირებულების მონიტორინგი საბაზრო ღირებულებასთან შედარებით.

9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	31-დეკ-2021	01-იან-2021
ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	11,154	7,073
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	28,858	44,872
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	39,798	3
ჯამი	79,809	51,949

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისგან ანგარიშგების თარიღისთვის.

ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში მოიცავს დისტრიბუტორების მიერ შეგროვებულ ფულად სახსრებს, რომელიც კომპანიამ გამოიმუშავა პროდუქციის მიწოდებით და რომელიც არ იყო განთავსებული საბანკო ანგარიშზე.

10. კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 2,000 ლარი, რომლის გადახდაც განხორციელდა 2002 წლის 9 ივლისს, კაპიტალში ქონებრივი შენატანის - კომპიუტერული კომპლექტის სახით, რომელიც შეფასდა საბაზრო ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის კომპანიის გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 222,977 ლარს. კომპანიამ საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიიღო 3,005,338 ლარის წმინდა მოგება. ამავე დროს გამოვლინდა 68,000 ლარის ხარჯები, რომელიც ეკუთვნოდა 2020 წელს და რომლითაც შემცირდა გაუნაწილებელი მოგება.

დივიდენდის გაცემა არ მომხდარა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგინა 3,162,316 ლარი.

11. მიღებული სესხები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

სესხის N	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	პროცენტის გადახდის გრაფიკი	ძირის გადახდის გრაფიკი	თანხა ლარში
თიბისი # 292506-10328707	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	770,880
თიბისი # 292506-10456392	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	344,702
თიბისი # 292506-10570226	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	-
თიბისი # 292506-10766049	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	876,000
თიბისი # 292506-10935421	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	420,480
თიბისი # 292506-10956452	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	805,920
თიბისი # 292506-10998716	13.75%	ლარი	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	658,812
თიბისი # 292506-11211717	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	-
თიბისი # 292506-11763211	6%	ევრო	ყოველთვიურად	გრაფიკის მიხედვით	876,000
გიორგი ქლენტი	ეროვნული ბანკის	ლარი	დარიცხვა ყოველთვიურად, გადახდა ძირის შემდეგ	პერიოდის განმავლობაში	654,800
შპს ცენტურიონი	ეროვნული ბანკის	ლარი	დარიცხვა ყოველთვიურად, გადახდა ძირის შემდეგ	პერიოდის განმავლობაში	-

სულ გადასახდელი სესხები:	5,695,144
გადასახდელი ძირი	5,407,594
გადასახდელი პროცენტი	287,550
სულ სესხები:	5,695,144

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული მოკლევადიანი სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

სესხის N	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	პროცენტის გადახდის გრაფიკი	ძირის გადახდის გრაფიკი	თანხა ლარში
TBC EUR # 292506-10328707	6%	ევრო	ყოველთვიურად	ვადის ბოლოს	885,126
TBC EUR # 292506-10456392	6%	ევრო	ყოველთვიურად	ვადის ბოლოს	522,428
TBC EUR # 292506-10570226	6%	ევრო	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	23,311
TBC EUR # 292506-10766049	6%	ევრო	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	1,005,825
TBC EUR # 292506-10935421	6%	ევრო	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	482,796
TBC EUR # 292506-10956452	6%	ევრო	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	925,359
TBC EUR # 292506-10998716	6%	ევრო	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	988,393
TBC EUR # 292506-11211717	6%	ევრო	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	1,206,990
გიორგი ქლენტი	11.50%	ლარი	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	358,709
დიმიტრი შენგელია	10.90%	ლარი	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	62,678
შპს ცენტურიონი	10.90%	ლარი	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	246,359
სულ გადასახდელი სესხები:					6,722,144
გადასახდელი ძირი					1,452,440
გადასახდელი პროცენტი					206,820
სულ სესხები:					6,722,144

თიბისი ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე შპს „დიპლომატ ჰოლდინგმა“ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

- შპს დიპლომატ ჰოლდინგისა და შპს ცენტურიონის ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (Ebitda) 300%-ზე მეტი.
- სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იქნეს სესხის მომსახურების კოეფიციენტი (კონსოლიდირებული) DSCR მინიმუმ 1,2 და FREE CASH-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1,05.
- კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება (კონსოლიდირებული) მინიმუმ 3.0 დონეზე.
- სესხების/გარანტიების მოქმედების პერიოდში შპს დიპლომატ ჰოლდინგისა და შპს ცენტურიონის კონსოლიდირებულმა კაპიტალმა არ უნდა შეადგინოს 4,500,000 ლარზე ნაკლები.
- სესხების/გარანტიების მოქმედების პერიოდში შპს დიპლომატ ჰოლდინგისა და შპს ცენტურიონის კონსოლიდირებულმა წმინდა საბრუნავმა კაპიტალმა არ უნდა შეადგინოს 5,500,000 ლარზე ნაკლები.
- სესხების/გარანტიების მოქმედების პერიოდში შპს დიპლომატ ჰოლდინგის და შპს ცენტურიონის კონსოლიდირებული ლევერეჯის კოეფიციენტმა შეადგინოს არაუმეტეს 0.9-ისა.

კომპანიას დარღვეული აქვს სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებაში მოცემული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები.

ძირითადი ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე დადებული დამატებითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების/ვალდებულებების დარღვევის გამო, ბანკი არ შეწყვეტს კომპანიას და ბანკს შორის საკრედიტო ურთიერთობას, ძირითადი ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის მოქმედებას, ასევე ბანკი არ მოსთხოვს შპს „დიპლომატ ჰოლდინგს“ კრედიტის სახით მიღებული თანხების დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

ანგარიშგების შემდგომ პერიოდში დარღვეულ კოვენანტებზე ბანკი იტოვებს უფლებას, გამოიყენოს ძირითადი ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული ნებისმიერი უფლება. სს „თიბისი ბანკის“ მხრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა ძირითადი ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლების გამოყენება.

შპს „დიპლომატ ჰოლდინგს“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმებული გენერალური სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, სესხის უზრუნველყოფაში გამოყენებულია კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა და სამომავლო ნებისმიერი მარაგები, კომპანიის კუთვნილი ყველა არსებული და სამომავლო დებიტორული დავალიანება, ყველა და ნებისმიერი პირის მიმართ, კომპანიის არამატერიალური ქონებრივის სიკეთე. უზრუნველყოფაში ასევე გამოყენებულია კომპანიის დაკავშირებული მხარის შპს „ცენტურიონის“ მფლობელობაში არსებული ყველა და სამომავლო ნებისმიერი მარაგები, კომპანიის კუთვნილი ყველა არსებული და სამომავლო დებიტორული

დავალიანება, ყველა და ნებისმიერი პირის მიმართ, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და კომპანია „დიპლომატ ჰოლდინგის“ კუთვნილი უძრავი ქონება ს/კ 01.11.05.011.295.

შპს „დიპლომატ ჰოლდინგს“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის დამფუძნებლების: ჯონი ქოჩიაშვილის, გიორგი ჟღენტის, მერაბ ჩიჩუას და დიმიტრი შენგელიას პირადი თავდებობა გამოყენებულია როგორც სესხის უზრუნველყოფის ფორმა, ასევე სესხის უზრუნველყოფის ფორმად გამოყენებულია კომპანიის წილის მფლობელის მერაბ ჩიჩუას კუთვნილი სავაჭრო ფართი ს/კ N 01.14.11.020.001.01.504.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან საანგარიშგებო თარიღისთვის.

12. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31-დეკ-2021	01-იან-2021
სავაჭრო ვალდებულებები	3,923,255	1,646,391
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	253,191	262,370
სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადასახდელი	195,978	83,067
სხვა ვალდებულებები	77,226	114,010
ჯამი	4,449,649	2,105,838

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან ანგარიშგების თარიღისთვის.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში იგულისხმება მომწოდებლებისთვის გადასახდელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

სხვა ვალდებულება მოიცავს შესყიდული საწვავის და ტრანსპორტირების მომსახურების გადასახდელ თანხებს.

13. საოპერაციო შემოსავალი

ამონაგები	2021 წელი	2020 წელი
რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	43,015,366	31,302,446
საიჯარო შემოსავალი	268,432	274,644
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(2,492,773)	(1,869,937)
ჯამი	40,791,025	29,707,153

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2021 წელი	2020 წელი
საკონდიტრო ნაწარმი	11,519,307	8,519,333
რძის ნაწარმი	8,086,300	7,649,456
სწრაფი მომზადების პროდუქტები	6,618,866	2,750,273
სოუსები	164,625	1,201,116
საღებო რეზინი	452,530	869,465
ხორცპროდუქტები	781,021	344,034
ჯამი	27,622,649	21,333,677

კომპანია შემოსავალს იღებს საკონდიტრო ნაწარმის, რძის ნაწარმის, სწრაფი მომზადების პროდუქტების და საღებო რეზინის რეალიზაციიდან. შესაბამისად, თვითღირებულების ხარჯი დაკავშირებულია საკონდიტრო ნაწარმის, რძის ნაწარმის, სწრაფი მომზადების პროდუქტების და საღებო რეზინის რეალიზაციასთან.

15. მარკეტინგის ხარჯები

მარკეტინგის ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
სხვა მარკეტინგის ხარჯი	5,898,822	3,707,949
პრომო აქცია	116,976	91,129
თაროების ხარჯები	338	21,270
ჯამი	6,016,136	3,820,348

სხვა მარკეტინგის ხარჯი მოიცავს სავაჭრო ობიექტებისთვის გადახდილ პროდუქციის პოზიციონირების ხარჯს და სავაჭრო ობიექტებისთვის გადახდილ ქეშ ბეჭის თანხას, რომელსაც კომპანია იხდის გაყიდვების წახალისების მიზნით.

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
ადმინისტრაციის ხელფასი	2,721,609	894,030
უიმედო ვალების ანარიცხები	394,678	64,224
იჯარა	350,047	2,091
ცვეთა და ამორტიზაცია	298,440	384,946
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	110,300	91,027
სხვა ხარჯები	103,557	269,009
ბანკის საკომისიო	88,068	80,736
საპენსიო ხარჯები	75,306	64,317
კომუნალური ხარჯი	61,677	55,497
კომუნიკაციის ხარჯები	52,756	-
ქონების დაზღვევა	37,050	20,352
რემონტის და შეკეთების ხარჯები	32,129	26,393
ქონების გადასახადი	23,544	-
საკანცელარიო ხარჯი	21,356	20,064
საგადასახადო ხარჯი	2,903	3,756
მივლინების ხარჯი	2,695	3,039
ჯამი	4,376,114	1,979,481

17. დისტრიბუციის ხარჯი

დისტრიბუციის ხარჯები	2021 წელი	2020 წელი
დისტრიბუტორების ხელფასი	1,229,560	2,551,309
რემონტის და შეკეთების ხარჯები	231,459	131,211
საწვავის ხარჯი	770,308	522,111
იჯარით აღებული აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	-	120,904
ტრანსპორტირების მომსახურების ხარჯი	-	144,562
სხვა ცვეთა და ამორტიზაცია	-	56,173
იჯარის ხარჯი	-	9,317
სხვა დისტრიბუციის ხარჯი	-	75,829
ჯამი	2,231,327	3,611,416

18. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავალი	2021 წელი	2020 წელი
ქვშ ბექის სახით მიღებული შემოსავალი	1,320,349	1,065,035
ჩუქებით მიღებული შემოსავალი	1,251,821	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	16,233	-
ჩაუთვლელი და ხარჯად აღიარებული დღგ-ს აღდგენა	42,835	-
ჯამი	2,631,238	1,065,035

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირება საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2021	01-იან-2021
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	79,809	51,949
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7,384,740	4,790,589
სულ ფინანსური აქტივები	7,464,549	4,842,538
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,449,649	2,105,838
საიჯარო ვალდებულებები	1,020,247	1,020,247
სესხები	5,695,144	6,722,144
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,165,040	9,848,230

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან კონტრაგენტი ვერ შეძლებს მთლიანი თანხის ან მისი ნაწილის გადახდას ან დროულად ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

კომპანია არ იყენებს ოფიციალურ შიდა მონიტორინგის სისტემას საკრედიტო რისკის მიმართ მგრძნობიარობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად. მენეჯმენტი ახორციელებს ვადაგადაცემული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის საკრედიტო რისკისადმი მოწყვლადობის მაქსიმალურ დონეს.

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2021	01-იან-2021
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	79,809	51,949
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7,384,740	4,790,589
სულ ფინანსური აქტივები	7,464,549	4,842,538

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

საბაზრო რისკი. რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

აღნიშნულ რისკებზე გავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები:

საპროცენტო რისკი. კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე ის არ არის არსებითად მოწყვლადი საპროცენტო რისკის მიმართ.

სავალუტო რისკი. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო.

უცხოური ვალუტის რისკის მართვა ხორციელდება ნეტო სავალუტო პოზიციის მონიტორინგის მეშვეობით.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ:

კომპანიას აქვს გარკვეული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2021	01-იან-2021
შპს მასტერ თრეიდი	-	80
შპს ცენტურიონი	5,000	5,000
ჯამი	5,000	5,080

ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2021	01-იან-2021
ქლენტი გიორგი	846,698	372,995
შპს ცენტურიონი	57747	246,464
ჯამი	904,445	619,459

გიორგი ქლენტის მიმართ კომპანიის ვალდებულებები შედგება მიღებული სესხისგან და მასე დარიცხული პროცენტებისგან

შემოსავლები მიღებული დაკავშირებული მხარეებისგან	2021 წელი	2020 წელი
შპს მასტერ თრეიდი	290,477	274,644

კომპანიის მიღებული შემოსავლების უდიდესი ნაწილი, დაკავშირებული მხარისაგან, შედგება საიჯარო შემოსავლებისგან.

ხარჯები გაწეული დაკავშირებული მხარეებთან	2021 წელი	2020 წელი
შპს ცენტურიონი	22,814	40,761

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

	2021 წელი	2020 წელი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	25,426	20,625

21. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

კომპანიის ფულადი ნაკადები საანგარიშგებო წლის განმავლობაში მკეთლრად გაიზარდა, ასევე კომპანიის კუთვნილი აქტივები თითქმის ორჯერ აჭარბებს მის ვალდებულებებს. ამ და სხვა გარემოების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო მომავალშიც განაგრძობს თავის საქმიანობას და არ არსებობს რაიმე პირობა-გარემოება რომელიც ხელს შეუშლის კომპანიის ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 19 დეკემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა	3
მისია	3
კომპანიის განვითარების გეგმები	5
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	5
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	7
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	7
საკრედიტო რისკი	7
ლიკვიდურობის რისკი	8
საბაზრო რისკი	8
სავალუტო რისკი	8
საპროცენტო განაკვეთის რისკი	9
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	9
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	9

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ (ს.ნ. 204987862) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2002 წლის 11 ივლისს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანის რაიონი, კაჭარავას ქ. N58.

პარტნიორები - მერაბ ჩიჩუა (პ.ნ. 01001014016) 25%; გიორგი ჟღენტი (პ.ნ. 01002001999) 25%;
ჯონი ქოჩიაშვილი (პ.ნ. 01019029102) 25%; დიმიტრი შენგელია (პ.ნ. 01006002764) 25%;

დირექტორი - ნიკოლოზ სიმონგულაშვილი (პ.ნ. 21001004038).

სავაჭრო სახელი - „დიპლომატ ჰოლდინგი“.

მისია

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ არის საქართველოს მასშტაბით ლიდერ კომპანიათა შორის, რომლის ძირითად საქმიანობას 2002 წლიდან წარმოადგენს კვების პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოში.

კომპანიის მისიაა შესთავაზოს მომხმარებელს მსოფლიო ბრენდების ფართო ასორტიმენტი და უზრუნველყოს პროდუქციის დროული მიწოდება სავაჭრო წერტილებში. ჩვენი მიზანია ყოველთვის უზრუნველყოს მომხმარებელს მუდმივად ახალი პროდუქტი და სარგისი შეთავაზებები.

კომპანიის სტრატეგიაა შესთავაზოს მომხმარებელს მუდმივად ახალი პროდუქტი და სარგისი შეთავაზებები.

კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს პროფესიონალების გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი, საქმისადმი ერთგული და მონდომებული სპეციალისტებით, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ეფექტურ მუშაობაზე და გაყიდვების მუდმივ ზრდაზე.

შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ აერთიანებს ისეთ ცნობილ ბრენდებს როგორებიცაა:

Mondelez (7 Days products), Ehrmann-Campina, Hochland, Perfetti Van Melle, Anakom, Ramensky, Cherkizovo, White Bear, Frixx (Wellington).

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021



მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

კომპანიაში მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება პარტნიორთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლებისაგან.

პარტიორთა კრების მიზანია - კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის უზღუნველყოფა მის მიზნებთან და სტრატეგიასთან. განსახილველ საკითხებს წარმოადგენს:

- ✓ სამურნეო საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა;
- ✓ სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;
- ✓ უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ✓ ინვესტიციების განხორციელება;
- ✓ სესხების და კრედიტების აღება;
- ✓ ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- ✓ წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;
- ✓ დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა.

კომპანიის საფინანსო-სამეურნეო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელია **დირექტორი**, რომლის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ✓ ტოპ მენეჯმენტის წევრებს შორის შეთანხმებული და მკაფიო სტრატეგიის არსებობა;
- ✓ კომპანიის ოპერატიული მართვა;
- ✓ ბიზნეს პროცესების გამართული, უწყვეტი მიმდინარეობა;
- ✓ სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმების არსებობა განყოფილებების დონეზე და მათი შესრულება.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად **დირექტორი**:

- ✓ განაგებს საზოგადოების ქონებას (ფინანსური სახსრების ჩათვლით);
- ✓ აწარმოებს ყველა სახის გარიგებას და სხვა იურიდიულ აქტებს, გამოსცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში კომპანიის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;
- ✓ მოქმედებს კომპანიის სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს მესამე პირებთან;
- ✓ განიხილავს შტატების დამატების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას კადრების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე;
- ✓ სტრატეგიიდან გამომდინარე, განყოფილებების დონეზე განიხილავს სამოქმედო გეგმას;
- ✓ შეიმუშავებს ბიზნეს პროცესებს ან/და ცვლილებები შეაქვს მათში;
- ✓ განიხილავს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას;
- ✓ განიხილავს მიმდინარე პრობლემურ საკითხებს, იღებს გადაწყვეტილებას და ანხორციელებს მონიტორინგს მათ აღსრულებაზე;
- ✓ ანხორციელებს ფინანსური შედეგების ანალიზს და შესრულებული სამუშაოების შედეგების შეფასებას;
- ✓ ახორციელებს სხვა საჭირო ქმედებებს საზოგადოების მიზნების მისაღწევად.

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელია:

- საგადასახადო ორგანო;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;
- სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენას.

კომპანია სრულად ასრულებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და ბიზნეს ოპერატორის მოთხოვნებს; ასევე მკაცრად კონტროლდება პროდუქციის ხარისხი და ვარგისიანობის ვადები, ქართული ეტიკეტირება და ა.შ.

კომპანიის მთავარ პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია იმყოფება მუდმივი განვითარების პროცესში, რაც განპირობებულია ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციით. დღესდღეობით კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზეა ორიენტირებული, სამომავლოდ იგეგმება კომპანიის პოზიციების კიდევ უფრო მეტად გამყარება და გაფართოება. აღნიშნულის მისაღწევად, კომპანიის ხელმძღვანელობა გეგმავს:

- ასორტიმენტის განვითარებას - ახალი პროდუქტების შერჩევა, დანერგვა და სწორი ფასდადგება;
- ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას - ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება, მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება;
- გაყიდვების სტიმულირებას - ბრენდის განვითარება; სავაჭრო ქსელის განვითარება; სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობები.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანია ყოველწლიურად აწარმოებს კვლევებს და იძიებს ინფორმაციას გაყიდვებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ხდება მომხმარებლების მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, ეს იქნება დისტრიბუციის მომსახურების ხარისხი ამაღლება, თუ კონკრეტულ სეგმენტზე მორგებული შესაბამისი პროდუქციის დისტრიბუცია.

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

სხვა სახის კვლევები კომპანიას ამ ეტაპზე არ განუხორციელებია.

კომპანიის წინაშე მდგარი ამოცანები:

- კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება:
 - ✓ ქსელის გაფართოვება და კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება;
 - ✓ სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და პირდაპირი კომუნიკაცია;
 - ✓ მომხმარებლებთან უკუკავშირი;
 - ✓ არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება;
 - ✓ ბრენდის ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა;
- მომსახურების მაღალი ხარისხი:
 - ✓ კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება;
 - ✓ მომსახურების ხარისხის კონტროლი;
 - ✓ მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა.
- ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება:
 - ✓ პროდუქციის მარაგებზე მოთხოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით);
 - ✓ ლოჯისტიკა;
 - ✓ შესყიდვების განხორციელება;
 - ✓ საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა.
- ასორტიმენტის განვითარება:
 - ✓ არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება;
 - ✓ ფასწარმოქმნა.
- ქსელის განვითარება:
 - ✓ პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა;
 - ✓ არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით;
 - ✓ ბაზარზე გაყიდვების ანალიზი.
- ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა:
 - ✓ ბიუჯეტირება;
 - ✓ ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა;

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

- ✓ სწორი ფასწარმოქმნდა;
- ✓ გამართული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.

კომპანიის უახლოესი მიზნები:

- გაყიდვების გაზრდა;
- ბიზნესის ოპტიმიზირება, გაყიდვებისა და კლიენტებთან ურთიერთობის ტრეინინგები / კვალიფიკაციის ამაღლება.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- ✓ საკრედიტო რისკი;
- ✓ ლიკვიდურობის რისკი;
- ✓ საბაზრო რისკი;
- ✓ სავალუტო რისკი;
- ✓ საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

საკრედიტო რისკს. ზემოაღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით.

დეტალური ინფორმაცია აღნიშნული რისკის მიმართ კომპანიის მოწყვლადობის შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

დეტალური ინფორმაცია ლიკვიდურობის რისკის მიმართ კომპანიის მოწყვლადობის შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საბაზრო რისკი

კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად არსებობს საბაზრო რისკიც. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

სავალუტო რისკი

ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში მარაგების იმპორტი და დისტრიბუცია, მომწოდებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით).

კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო და სპეციფიკური რყევების ზემოქმედებას.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიას საკუთარი აქციები არ გააჩნია.

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანია თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ისე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს ფინანსური რისკები ამ მიმართულებითაც. აღნიშნული რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა არის შემდეგნაირი: სესხის საჭიროების შემთხვევაში განიხილავს იმ დროისთვის საფინანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და გადაწყვეტილებას იღებს საუკეთესო შეთავაზების სასარგებლოდ;

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მინიმიზაციისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ამით შეძლებისდაგვარად ვზღუდავთ დებიტორული დავალიანების ზრდას;

ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე. რისი უგულვებელყოფის შემთხვევაში იძულებულები ვართ მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვანხორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1. ვაკანსიის გამოცხადება; 2. პირველადი შერჩევა CV-ს საშალებით; 3. გასაუბრება; 4. შერჩეული კანდიდატების აყვანა 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან.

შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და შესამცირებლად, არის შემდეგი:

1. ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
2. რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში და გაყიდვების მენეჯერების მომმარებლებისთვის;
3. მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
4. დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი.

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით.

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

მმართველობის ანგარიშგება - 31.12.2021

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

შპს „დიპლომატ ჰოლდინგის“ დირექტორი: _____ / ნ. სიმონგულაშვილი/

შპს „დიპლომატ ჰოლდინგის“ ფინანსური მენეჯერი: _____ / ო. ცერცვაძე/

/ მ. ცერცვაძე /